



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ.ოზურგეთი

N 83

30/06/2017

83-03-4-201706301632



**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

„ენვერ ჯაფარიძის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში  
სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში მთავარი სპეციალისტის  
თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 31 დეკემბრის N82 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული  
კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“  
საქართველოს კანონის 125-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი  
ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „ენვერ ჯაფარიძის ქალაქ ოზურგეთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სამართლებრივი უზრუნველყოფის  
საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ - ქალაქ  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 31  
დეკემბრის N82 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით:

„1. დაინიშნოს ენვერ ჯაფარიძე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.“.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).

4. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა